დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2024 წლის 9 აგვისტო**

დისციპლინური საქმე №95/24
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2024 წლის 10 ივლისის №95 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2024 წლის 15 ივლისის №291/95-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ დაარღვია საქმის განხილვის ვადა.

1.2. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლემ მის მიმართ გამოიჩინა უპატივცემულობა.

1.3. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლემ უარი უთხრა სარჩელისა და შეგებებული სარჩელის მიღებაზე, თავისი ინიციატივით დააყენებინა მოსარჩელე მხარეს შუამდგომლობა ექსპერტის მოწვევის თაობაზე და უსამართლოდ გაიზიარა მისი ჩვენება. ამასთან, მიიღო უსამართლო გადაწყვეტილება.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- 2018 წლის 4 ოქტომბერს სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნით.

2018 წლის 5 ოქტომბერს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის დაკმაყოფილების თაობაზე.

2018 წლის 15 ოქტომბერს და 2019 წლის 12 დეკემბერს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2019 წლის 22 აგვისტოს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2019 წლის 31 ოქტომბერს, 21 ნოემბერს, 5 დეკემბერს, 2021 წლის 23 თებერვალს, 25 მარტს, 25 მაისს, 8 ივნისს, 2 ნოემბერს, 10 ნოემბერს და 24 ნოემბერს.

2019 წლის 31 ოქტომბრის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად მოპასუხის მხარეზე -- -- ჩაბმის შესახებ.

2019 წლის 15 იანვარს სასამართლომ მიიღო განჩინება ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტის დანიშვნის შესახებ.

-- საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა -- -- განცხადება და -- -- ცნობილ იქნა მხარდაჭერის მიმღებად.

2019 წლის 14 ნოემბერს -- -- შეგებებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში. 21 ნოემბერს კი შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2021 წლის 1 აპრილს სასამართლომ მიიღო განჩინება შეგებებული სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

2019 წლის 30 მარტს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირმა -- -- მოპასუხეების -- -- და -- -- მიმართ სარჩელი წარადგინა სასამართლოში ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

2021 წლის 1 აპრილს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

2021 წლის 8 აპრილს -- -- კვლავ წარადგინა სარჩელი სასამართლოში მოპასუხეების -- -- და -- -- მიმართ უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

2021 წლის 13 აპრილს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

2021 წლის 16 აპრილს -- -- კვლავ წარადგინა სარჩელი სასამართლოში -- -- და -- -- მიმართ უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით. სარჩელი მიღებულ იქნა განსახილველად.

2021 წლის 8 ივნისს -- -- შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2021 წლის 25 მაისის სასამართლოს საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სასამართლო სხდომაზე სპეციალისტის -- -- დაკითხვის თაობაზე.

2021 წლის 24 ნოემბერს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც -- -- სარჩელი მოპასუხე -- -- მიმართ დაკმაყოფილდა, ხოლო, -- -- უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

2.2. 2021 წლის 22 დეკემბერს -- --, ხოლო, 2021 წლის 30 დეკემბერს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინეს სასამართლოში.

2022 წლის 16 ივნისს -- სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება -- -- და -- -- სააპელაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2.3. 2022 წლის 21 ივლისს -- --, ხოლო, 11 ივლისს -- -- საკასაციო საჩივრები წარადგინეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 21 ნოემბრის და 24 ნოემბრის განჩინებით -- -- და -- -- საკასაციო საჩივრები დარჩა განუხილველი.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის

სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა არ წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებისა და გადაწყვეტილების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლემ თავისი ინიციატივით დააყენებინა მოსარჩელე მხარეს შუამდგომლობა ექსპერტის მოწვევის თაობაზე და უსამართლოდ გაიზიარა მისი ჩვენება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. მითითებული კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით. საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელემ დააყენა შუამდგომლობა ექსპერტის დაკითხვის შესახებ, სასამართლომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა, ვინაიდან მიიჩნია, რომ ექსპერტის მიერ საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამასთან, საგულისხმოა, რომ ექსპერტის დასკვნის გაზიარების ან მის გაზიარებაზე უარის თქმის საკითხს მოსამართლე წყვეტს შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება საკითხის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რაც დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი ვერ გახდება.

ამასთან, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ უსაფუძვლოდ უთხრა უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- 2021 წლის 30 მარტს და 8 აპრილს სარჩელი წარადგინა სასამართლოში, თუმცა -- საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 1 აპრილის და 13 აპრილის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლი განსაზღვრავს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს, ამასთან, ამავე კოდექსის 178-ე მუხლი ადგენს სავალდებულო წესებს და რეკვიზიტებს, რაც დაცული უნდა იქნას სარჩელის სასამართლოში წარდგენისას. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ განიხილა -- -- მიერ წარდგენილი სარჩელები და მიიჩნია, რომ იგი არ პასუხობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, რაც მითითებული კოდექსის 186-ე მუხლის „თ“

ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა (2023 წლის 30 ივნისამდე მოქმედი რედაქცია).

საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ უსაფუძვლოდ უთხრა უარი შეგებებული სარჩელის მიღებაზე. საქმის მასალების თანახმად, 2019 წლის 14 ნოემბერს -- --, შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს. 2021 წლის 1 აპრილის განჩინებით -- -- შეგებებული სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად. აღსანიშნავია, რომ შეგებებული სარჩელის განსახილველად მიღების წინაპირობებს ადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლი. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. აღნიშნული მუხლის შინაარსი ცალსახად ადგენს, რომ შეგებებული სარჩელის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ მოპასუხე მხარეს მოსარჩელის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ შეისწავლა წარდგენილი შეგებებული სარჩელი და მიიჩნია, რომ შეგებებული სარჩელი აღძრული იყო -- -- მიერ, რომელიც არ წარმოადგენდა მოპასუხე მხარეს. ამასთან, წარდგენილი შეგებებული სარჩელით იგი დამოუკიდებელ მოთხოვნას აცხადებდა დავის საგანზე, რაც ქმნიდა არა შეგებებული სარჩელის აღძვრის არამედ დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სარჩელის აღძვრის საპროცესო წინაპირობებს.

რაც შეეხება, მოსარჩელე მხარის განცხადებას, იმის შესახებ, რომ მოსამართლემ მიიღო უსამართლო გადაწყვეტილება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და კანონის შესაბამისად, შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. მოცემულ საქმეზე მოსამართლემ შეისწავლა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, კანონის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებისა და გადაწყვეტილების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შეწყდეს -- -- 2024 წლის 10 ივლისის №95 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებისა და გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.3 პუნქტი).

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №95 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 და 1.2 პუნქტები).

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი